საიდ. N 81761/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N87-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), მ. ჭიჭინაძე, ს. დუმბაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით, განიხილა შპს „ოჯთ“-ს (მის: 17, სარაჯიშვილის ქ. ვაშლიჯვარი, თბილისი) N87-03/15 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება ,,სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 8 მაისის N911/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც მოცულობითი სასაქონლო ნიშანი (საიდ: N81761/03 დარეგისტრირდა კომპანიის „ბრიტიშ ამერიკენ ტობაკო (ბრენდს) ინკ. (დელავერის კორპორაცია)“ (British American Tobacco (Brands) Inc. (a Delaware corporation) სახელზე 34-ე კლასის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, შესაგებელი ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

აპელანტი შპს „ოჯთ“ არ ეთანხმება არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, დაჩქარებული წესით რეგისტრირებული მოცულობითი სასაქონლო ნიშანი პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად აღწერს 34-ე კლასის იმ საქონელს, კერძოდ სიგარეტის ღერს, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს სიგარეტის ღერის გამოსახულებას და რეგისტრირებული ნიშნის საქონლად მითითებულია სიგარეტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასაქონლო ნიშნად რეგისტრირებული სიმბოლო პირდაპირ და უშუალოდ აღწერს იმ საქონელს, რომლისთვისაც ნიშანი გამოიყენება. აპელანტის პოზიციით, ასეთი სიმბოლოს რეგისტრაცია ეწინააღმდეგება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნას, რომლის მიხედვით „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია“. აპელანტის მითითებით, სადავო მოცულობით სასაქონლო ნიშანში სიგარეტის მოყვანილობა-მოხაზულობა არ განსხვავდება ბაზარზე არსებული სიგარეტის ჩვეულებრივი ფორმის გამოსახულებისაგან, ამიტომ მისი რეგისტრაცია უნდა გაუქმდეს. რაც შეეხება ფილტრზე დატანილ ლურჯი ფერის გრაფიკულ ელემენტს და დახრილ ხაზებს,

ისინი მოცულობითი ნიშნის ელემენტებად ვერ ჩაითვლებიან, რადგან ისინი მოცულობითი ნიშნის ფორმას (მოყვანილობას ან მოხაზულობას) განმასხვავებლობას ვერ მატებენ. აპელანტის განმარტებით, დარეგისტრირებული სიმბოლოს გამოსახულება გამოიყენება სიგარეტის ღერზე დასატანად. მომხმარებელი ასეთ შემთხვევაში სასაქონლო ნიშანს, ნიშნად ვერ აღიქვამს, რადგან საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სიგარეტი შეიძლება გაიყიდოს მხოლოდ კოლოფში დაფასოებული და პოლიეთილენით გარშემორტყმული. აპელანტის მითითებით, ევრო სასამართლოს T-63/01 გადაწყვეტილების თანახმად, „....მისი ფორმა-შეფუთვის გამო არ არის ხილული გაყიდვისას, მისი შეზნექილი ნიშან-თვისება არ იქნება მაშინვე ამოცნობილი, როგორც წარმოშობის წყაროს მიმნიშნებელი“ („...its shape is not apparent at the point of sale (on account of its wrapping), its concave feature would not be instantly recognized as an indication of trade origin) (Procter and Gamble Company v. OHIM., T-63/01., 10 July 2002., THE COURT OF FIRST INSTANCE OF THE EUROPEAN COMMUNITIES). აღნიშნულიდან გამომდინარე, ასეთ საქონელზე დატანილ სიმბოლოს არ შესწევს უნარი მომხმარებელს აუწყოს, რომ სიგარეტის კოლოფს აწარმოებს მოცემული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია. რეგისტრირებული მოცულობითი სიმბოლოს სიგარეტის ღერზე დატანის შემთხვევაში იგი ვერ განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს მეორე საწარმოს საქონლისაგან. აპელანტის განმარტებით, სადავო ნიშანი მომხმარებლისთვის არ არის ხილული, სავაჭრო ურთიერთობისას ნიშანი ხილულიც, რომ იყოს, იგი აღწერილობითია და ასეთი ნიშნები სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით. აპელანტმა არგუმენტად მოიყვანა ევრო სასამართლოს გადაწყვეტილებები: T-385/08 (Trautwein v OHIM., 8 July 2010., Judgment of the General Court) და T-386/08 (Trautwein v OHIM., 8 July 2010., Judgment of the General Court). სასამართლომ აღნიშნულ საქმეებზე გადაწყვიტა, რომ მე-18, 31-ე და 25-ე კლასების საქონლისათვის ძაღლისა

და ცხენის გამოსახულება, ემსახურება იმას, რომ მიუთითოს ცხოველის ტიპი. აპელანტი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ საქმეში T-385/08 სასამართლომ ძაღლის გამოსახულება მე-18 კლასის საქონლისათვის (სატარები, საყელოები, სხვა საკუთნოები ტომრების (ჩანთების) ჩათვლით) მიიჩნია აღწერილობითად, რადგან შესაბამისი მომხმარებელი დაუყოვნებლივ აღიქვამს, რომ საქონელი არის ძაღლებისათვის. აპელანტის განმარტებით, საქმეში T-386/08 სასამართლომ გადაწყვიტა, რომ 25-ე კლასის ჩამონათვლისათვის (ტანსაცმელი, თავსაბურავიები და ქამრები) ცხენის გამოსახულება იყო აღწერილობითი, რადგან ნიშნის ქვეშ განცხადებული საქონლის ჩამონათვალი შექმნილია ან ვარგისია ცხენით სვლისათვის. აპელამტმა მოიყვანა სხვა გამოსახულებითი სასაქონლო ნიშნების მაგალითები, რომლებიც იყიდება კოლოფში დაფასოებული. აპელანტის განმარტებთ, სასაქონლო ნიშნები, კერძოდ ტაბლეტის გამოსახულებები (რეგისტრაცის N11587) (კლასი 5); (რეგისტრაციის N10514) (კლასი 5) მართლზომიერად არის რეგისტრირებული, რადგან მათი გამოსახულება არ არის მსგავსი ტაბლეტის გამოსახულებისა. უცხო სიტყვათა ლექსიკონისა და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ტაბლეტი არის რაიმე ფხვიერი წამლის დაწნეხილი პატარა მრგვალი კვერი. აპელანტმა მაგალითად მოიყვანა რეგისტრირებული კანფეტის გამოსახულება (რეგისტრაციის N 23178) (კლასი 30). აპელანტის განმარტებით, გამოსახულება მსგავსია შოკოლად ტრიუფელისა, ამიტომ საქონლის ჩამონათვლიდან უნდა ამოღებულიყო შოკოლადი, ხოლო 30-ე კლასის დანარჩენი განცხადებული საქონლისათვის რეგისტრაცია მართლზომიერია. რაც შეეხება გამოსახულებით სასაქონლო ნიშანს, რომელსაც აქვს კანფეტის გამოსახულება (რეგისტრაციის

N8521) (კლასი 30), აპელანტის განმარტებით, იგი მსგავსია შოკოლადის კანფეტისა, ამიტომ საქონლის ჩამონათვლიდან უნდა ამოღებულიყო შოკოლადი, ხოლო 30-ე კლასის დანარჩენი განცხადებული საქონლისათვის, აპელანტი რეგისტრაციას მართლზომიერად მიიჩნევს. აპელანტის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ წამლები იყიდება კოლოფში, დაფასოებული ფორმით და მას მომხმარებელი ვერ ხედავს, აღნიშნულს მომხმარებლისათვის არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან იგი წამალს იღებს ფარმაცევტისაგან დანიშნულებისა და რეცეპტის მიხედვით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 8 მაისის N911/03 ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც მოცულობითი სასაქონლო ნიშანი (საიდ: N81761/03) დარეგისტრირდა დაჩქარებული წესით კომპანიის „ბრიტიშ ამერიკენ ტობაკო (ბრენდს) ინკ. (დელავერის კორპორაცია)“ სახელზე 34-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

დაინტერესებული მხარე, კომპანია „ბრიტიშ ამერიკენ ტობაკო (ბრენდს) ინკ. (დელავერის კორპორაცია)“ (British American Tobacco (Brands) Inc. (a Delaware corporation) არ ეთანხმება სააპელაციო საჩივარს შემდეგ გარემოებათა გამო:

დაინტერესებული მხარის განმარტებით, განსახილველი სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს მოცულობით ნიშანს, რომლის ზედა ნაწილი გაფორმებულია ორიგინალურად შესრულებული ლურჯი ფერის გრაფიკული ელემენტით და ფილტრის ნაწილი მთელ გაყოლებაზე დაფარულია კუთხით შეერთებული წვრილი ხაზებით, რაც ნიშანს საკმარის განმასხვავებლობას ანიჭებს. დაინტერესებული მხარე არ ეთანხმება აპელანტის პოზიციას, იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან, სიგარეტი შეფუთულია და მომხმარებელი ვერ ხედავს მასზე დატანილ გრაფიკულ ელემენტს ნიშნის რეგისტრაცია უნდა გაუქმდეს. დაინტერესებული მხარის

განმარტებით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონი არ ადგენს, რომ სასაქონლო ნიშანი შეიძლება დარეგისტრირდეს მხოლოდ ისეთი საქონლისათვის, რომელიც შეუფუთავად იყიდება დახლზე. დაინტერესებული მხარის პოზიციით, სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული მოცულობით სასაქონლო ნიშნის (საიდ: 81761/03) რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესებული მხარე ითხოვს ,,სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 8 მაისის N911/03 ბრძანების ძალაში დატოვებას და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კოლეგიამ განიხილა მხარეთა არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად“.

კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცულობითი სასაქონლო ნიშანი (საიდ: N81761/03) არ წარმოადგენს აღწერილობით სასაქონლო ნიშანს 34-ე კლასის განცხადებული ჩამონათვალის, კერძოდ სიგარეტის მიმართ, რადგან სადავო ნიშანი წარმოადგენს სიგარეტის მოცულობით გამოსახულებას, რომლის ფილტრის წინა მხარეზე

გამოსახულია ორი პარალელური, ბოლოებისაკენ მომრგვალებული და ფილტრის უკანა მხარეზე გარდამავალი და ამავე მხარეზე კუთხით შეერთებული ორი მსხვილი ხაზი. ამასთან, ფილტრის უკანა მხარეს, ფილტრის მთელ გაყოლებაზე შესრულებულია კუთხით შეერთებული წვრილი ხაზები. სიგარეტის ღერი, თავისი ბუნებითა და დანიშნულებით ვერ იქნება სადავო სასაქონლო ნიშანში გამოყენებული სიგარეტის ღერისაგან განსხვავებული, ხოლო თავად ღერს, ჩვეულებრივი სიგარეტის ღერისაგან განასხვავებს ის ხაზები და მათი შესრულების ორიგინალური ელემენტები, რომელიც განთავსებულია სიგარეტის ღერის ფილტრზე. აღნიშნული ელემენტები სძენს ნიშანს განმასხვავებლობას და იგი სრულად აკმაყოფილებს სასაქონლო ნიშნისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს. კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ სიგარეტის ღერზე განთავსებული გრაფიკული ელემენტი მომხმარებლისათვის უხილავია სიგარეტის ღერების კოლოფში შეფუთვის გამო, შესაბამისად სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ექვემდებარება გაუქმებას. კოლეგიის აზრით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონი არ კრძალავს ისეთი ნიშნის რეგისტრაციას, რომლის რეალიზაცია ხდება მხოლოდ კოლოფში შეფუთული ფორმით. ამასთან, კოლეგიას მიაჩნია, რომ სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციით დაცულია არა ზოგადად სიგარეტის ღერის ფორმა, არამედ სიგარეტის ღერის გაფორმება მასზე შესრულებული გრაფიუკული ელემენტებით.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „ოჯთ“-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს ,,სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 8 მაისის N911/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: მ. ჭიჭინაძე

ს. დუმბაძე